

შპს „ინტერნეშენალ ბეიკერ ჰაუს“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თბილისი, 2023

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღირცხვო პოლიტიკა	11
3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	21
4. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო	22
5. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები.....	22
6. მოგების გადასახადი ხარჯი	22
7. ძირითადი საშუალებები	23
8. არამატერიალური აქტივები	24
9. საგადასახადო აქტივები და ვალდებულება	25
10. მარაგები.....	25
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	26
14. მიღებული სესხები	26
15. ფინანსური რისკის მართვა	27
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	31
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	31
18. საქმიანობის უწყვეტობის შეფასება	32
19. პირობითი ვალდებულებები	33
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	33
მმართველობის ანგარიშგება	34

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ინთერნეშენალ ბეიკერ ჰაუს“-ის ხელმძღვანელებს და მფლობელებს,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ინთერნეშენალ ბეიკერ ჰაუს“-ის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად და სრულად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. აგრეთვე, ვასრულებთ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს, რომლებიც აღნიშნული კოდექსით არის განსაზღვრული. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების

კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას. ამასთან, მიგვაჩნია, რომ არ არსებობს ისეთი ძირითადი საკითხები, რომელთა შესახებაც ცალკე ინფორმირებაა საჭირო.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენს პასუხისმგებლობას წარმოადგენს, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სფეროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წარმოადგენს, შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას,

რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მივმართავთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვახორციელებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებას. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლის სისტემას რათა დავგეგმოთ აუდიტორული პროცედურები რომლებიც არის შესაფერისი კონკრეტულ გარემოებებთან, მაგრამ არა იმ მიზნით რომ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე გამოვთქვათ მოსაზრება;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას. ასევე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- დასკვნა გამოგვაქვს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. აუდიტორის დასკვნაში ვალდებულები ვართ, რომ ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე იმ შემთხვევაში თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც

ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ეკატერინე ბატიაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-491088)

შპს „ჯიემ კონსალტინგის“ სახელით

თბილისი, საქართველო

28 ივნისი, 2023 წელი



ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ეკატერინე ბატიაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-491088)

შპს „ჯიემ კონსალტინგის“ სახელით
თბილისი, საქართველო
28 ივნისი, 2023 წელი



შპს „ინთერნეტნალ ბიკერ ჰაუს“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები		15,571,508	4,169,924
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4,705,380)	(963,436)
საერთო მოგება		10,866,128	3,206,489
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3	(1,499,809)	(922,936)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(1,035,444)	(586,207)
შრომის ანაზღაურება		(1,653,672)	(768,083)
კომუნალური ხარჯი		(538,554)	(308,558)
სხვა საერთო ხარჯები		(187,240)	(188,139)
საოპერაციო მოგება		5,951,409	432,565
საპროცენტო ხარჯი		(3,314,939)	(1,956,566)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო	4	(33,316)	655,458
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, ნეტო	5	52,877	100,203
მოგება დაბეგვრამდე		2,656,031	(768,339)
მოგების გადასახადის ხარჯი	6	(37,152)	-
წმინდა მოგება		2,618,879	(768,339)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		2,618,879	(768,339)

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 27 ივნისს, შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



თენგიზ კაპანაძე

11-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ინთერნეტენალ ბეიკერ ჰაუს“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები		15,571,508	4,169,924
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4,705,380)	(963,436)
საერთო მოგება		10,866,128	3,206,489
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3	(1,499,809)	(922,936)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(1,035,444)	(586,207)
შრომის ანაზღაურება		(1,653,672)	(768,083)
კომუნალური ხარჯი		(538,554)	(308,558)
სხვა საერთო ხარჯები		(187,240)	(188,139)
საოპერაციო მოგება		5,951,409	432,565
საპროცენტო ხარჯი		(3,314,939)	(1,956,566)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო	4	(33,316)	655,458
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, ნეტო	5	52,877	100,203
მოგება დაბეგვრამდე		2,656,031	(768,339)
მოგების გადასახადის ხარჯი	6	(37,152)	-
წმინდა მოგება		2,618,879	(768,339)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		2,618,879	(768,339)

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 27 ივნისს, შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

თენგიზ კაპანაძე

11-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ინთერნეტენალ ბეიკერ ჰაუს“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	19,934,497	20,704,690
არამატერიალური აქტივები	8	93,419	80,067
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,027,916	20,784,757
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	1,866,975	1,105,338
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	857,000	565,945
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,429,619	533,516
სულ მიმდინარე აქტივები		4,153,595	2,204,798
სულ აქტივები		24,181,511	22,989,555
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(2,393,332)	(4,801,684)
სულ კაპიტალი		(2,393,332)	(4,801,684)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი	14	19,723,047	22,660,359
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		19,723,047	22,660,359
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	828,393	656,836
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	14	5,820,317	4,295,661
საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები	9	199,295	174,082
სხვა ვალდებულებები		3,791	4,302
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,851,795	5,130,880
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,181,511	22,989,555

11-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ინტერნეტენალ ბეიკერ ჰაუს“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 1 იანვარი	-	(4,033,345)	(4,033,345)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	(768,339)	(768,339)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	(4,801,684)	(4,801,684)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	2,618,879	2,618,879
გამოცხადებული დივიდენდი	-	(210,526)	(210,526)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(2,393,332)	(2,393,332)

11-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ინთერნეტენალ ბეიკერ ჰაუს“
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი შემოსავლები მიწოდებული საქონლიდან	16,873,661	4,399,407
ფულადი შემოსავლები არასაოპერაციო საქმიანობიდან	55,315	876,770
გადახდილი ხელფასები	(1,254,367)	(533,677)
საოპერაციო ხარჯებისთვის გადახდილი თანხები	(6,002,524)	(1,981,755)
საპენსიო შენატანებზე გადახდილი თანხები	(63,005)	(26,479)
სხვა საოპერაციო ხარჯებზე გადახდილი თანხები	(898,870)	(279,082)
გადახდილი გადასახადები	(1,761,989)	(632,198)
საბანკო მომსახურებისთვის გადახდილი თანხები	(21,795)	(39,243)
ბანკისთვის გადახდილი პროცენტი	(3,314,939)	(2,378,181)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,611,489	(594,436)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენისთვის გადახდილი თანხები	(1,002,712)	(3,647,570)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,002,712)	(3,647,570)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ბანკის სესხის მიღება	987,562	24,475,736
ბანკის სესხის დაფარვა	(2,400,218)	(19,813,492)
გადახდილი დივიდენდი	(200,000)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,612,656)	4,662,244
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება	996,121	420,237
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	533,516	146,304
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(100,017)	(33,026)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,429,619	533,516

11-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ინთერნეტენალ ბეიკერ ჰაუს“ დაარსდა 2018 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ლილო, ლოჭინის ხევი (ნაკვ.05/001). აღნიშნულ მისამართზე არის განთავსებული კომპანიის სათაო ოფისი და ქარხანა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა სახის ბურგერის პურის წარმოება. კომპანია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას ახდენს მთელი საქართველოს მასშტაბით, თუმცა ძირითადი მომხმარებელია შპს „თ და კ რესტორნები“ (მაკდონალდს საქართველო). 2022 წლის თებერვლის თვიდან კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია გადის ექსპორტზე აზერბაიჯანში.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 55% წილის მფლობელია ფ/პ თემურ ჭყონია, ხოლო 45% მფლობელია თენგიზ კაპანაძე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველი

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ფასს-ების შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებები გამოიყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანია არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.3 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2022 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

2022 წლის 1 იანვრიდან, ძალაში შევიდა შემდგომი შესწორებები: წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, შემოსულობები დანიშნულებისამებრ მოხმარებამდე, მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3-ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

არც ერთი ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელთა მიღება სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია.

2.4 ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - „ქართული ლარი“ (GEL). შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით.

ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.702	2.8844
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040

2.5 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი

სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.6 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ კომპანიის საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. კომპანია ამონაგებში არ ითვალისწინებს მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებულ ისეთ თანხებს, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადი. ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

2.7 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

2.8 გადასახადები

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის

არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

განსაკუთრებული აქტივის შემენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები აღირიცხება აღნიშნული აქტივის თვითღირებულებაში. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღირიცხება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული.

კომპანია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას, განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულების ნაწილის სახით ახდენს კაპიტალიზაციის დაწყების თარიღიდან. კაპიტალიზაციის დაწყების თარიღად მიიჩნევა ის თარიღი, როდესაც კომპანია პირველად დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

- ა) განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;
- ბ) გაწეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;
- გ) დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

განსაკუთრებულ აქტივზე გაწეული დანახარჯები მოიცავს მხოლოდ ისეთ დანახარჯებს, რომელსაც მოჰყვება საწარმოდან ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების

გასვლა, ან პროცენტიანი ვალდებულებების წარმოშობა. ეს დანახარჯები მცირდება მოცემულ აქტივთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი შუალედური გადახდის თანხებისა და მიღებული სახელმწიფო გრანტების სიდიდით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო სარემონტო და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზირდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება ბალანსიდან.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის. საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით კომპანიისთვის. ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსავალი ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ვადები მოცემულია ცხრილში:

დასახელება	ექსპლუატაციის ვადა
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	5-10
მანქანა-დანადგარები	10
შენობა-ნაგებობა	40

2.10 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ აღრიცხვის ERP სისტემა „Navision“-ს და ნამუშევარი საათების აღრიცხვის პროგრამას, რომლებიც ასახულია დაგროვილი ცვლილებებით შემცირებული თვითღირებულებით. მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

შემდგომი დანახარჯები აისახება არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება ინდივიდუალური არამატერიალური აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო ხარჯები და ყოველთვიური საექსპლუატაციო/სალიცენზიო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

2.11 ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად ან როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად, რომელიც უფრო მართებულია. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო

განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული

კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან კოლექტიურად აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიურად შეფასების პროცესში.

კოლექტიური შეფასება

ფასს 9-ის შესაბამისად, კონტრაგენტებისგან მისაღები ანგარიშების გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, დებიტორების პორტფელები გადანაწილებულია სხვადასხვა რისკების კალათებში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის საფუძველზე. ვალდებულების შეუსრულებლობის დადგენისთვის 180-დღიანი გამიჯვნის ვადის დაწესებით, კომპანიამ მხედველობაში მიიღო ქვეყნის ბიზნესგარემო და მისი საქმიანობის მცირე პერიოდის გადახდების ისტორია. შეიქმნა ხუთი ცალკეული რისკების კალათა:

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	კატეგორია	აღწერა
0-30	AA	ძალიან კარგი
31-60	A	კარგი
61-90	B	ნორმალური
91-180	C	ცუდი
181+	D	ვალდებულების შეუსრულებლობა

ფასს 9 საწარმოს უფლებას აძლევს, მოსალოდნელი ზარალის გამოთვლისას გამოიყენოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა - „ანარიცხების (რეზერვების) მატრიცები“ (მაგ. დებიტორული ანგარიშებისთვის), თუ იგი შეესაბამება მოსალოდნელი ზარალის შეფასების ზოგად პრინციპებს. თუმცა, ფასს 9 ასევე მოითხოვს საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) ინფორმაციის გამოყენებას საწარმოს გაუფასურების აღიარების სქემაში.

კომპანია იყენებს ანარიცხების მატრიცებს გაუფასურების კოლექტიური შეფასების შემთხვევაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანიამ გამოიყენა გამარტივებული მიდგომა დებიტორული დავალიანებისთვის და პირდაპირ განიხილავს ზარალს აქტივის არსებობის მანძილზე მთელი პორტფელისთვის, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აქტივის არსებობის მანძილზე აღიარებული იქნება მთლიან პორტფელზე, იმისდა

მიუხედავად, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. კატეგორიების მიხედვით ვალდებულებების ალბათობის განსასაზღვრად გამოყენებულ იქნა მიგრაციის მატრიცა. ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტისთვის კრედიტის ოდენობა განისაზღვრა, როგორც დებიტორის კრედიტის ოდენობის გადასახდელი ნაშთი.

თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შემობრუნების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას შემობრუნების თარიღისთვის. უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

1. ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
2. კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება;
3. (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი. შემოსავლისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა მოგებაში ან ზარალში არ მოხდება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ფინანსური აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ მოუხდენია თავისი

აქტივებისა და ვალდებულებების, ან შემოსავლისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა.

2.12 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. ზოგიერთი სახის მარაგი შეიძლება მიეკუთვნოს სხვა აქტივების ანგარიშებს, მაგალითად მარაგი, რომელიც კომპანიის მიერ გამოყენებული იყო საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების კომპონენტის სახით. სხვა აქტივზე ამგვარად მიკუთვნებული მარაგი შემდგომში აისახება წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკის იმ დებულებების მიხედვით, რომელიც ამ აქტივის ტიპის შესაფერისი იქნება.

2.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლის რეალიზაციას ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

2.14 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.15 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

2.16 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.17 კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები. კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

2.18 დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

2.19 სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

თუ კომპანია მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, ანაზღაურების აღიარება ხდება აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიღება ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების სტრუქტურა 2022 და 2021 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
მიმდინარე რემონტის ხარჯი	392,688	134,902
მარკეტინგის ხარჯი	161,822	247,937
საოფისე ხარჯი	37,380	21,096
კომუნიკაციის ხარჯი	13,167	8,301
წარმოების სხვა ხარჯი	39,085	28,236
დასუფთავების ხარჯი	19,406	31,485
დაცვის ხარჯი	49,207	50,034
საკონსულტაციო მომსახურები ხარჯი	153,645	14,692
საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურება	8,925	8,925
უნიფორმების ხარჯი	23,824	14,349
აიტი მომსახურების ხარჯი	18,312	8,400
გამწვანების ხარჯი	1,711	15,401
ლაბორატორიის ხარჯი	90,559	54,654
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	53,286	62,784
მივლინების ხარჯი	34,896	9,215
დაზღვევის ხარჯი	35,397	20,335
ბანკის მომსახურების ხარჯი	22,243	39,460
სამედიცინო მომსახურების ხარჯი	5,400	14,235
შრომის უსაფრთხოების ხარჯი	8,136	9,492
წარმომადგენლობითი ხარჯი	51,496	124,747
რეკრუტირების ხარჯი	7,412	2,332
იჯარის ხარჯი	200,685	-
სხვა ხარჯები	71,130	1,925
სულ:	1,499,809	922,936

4. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო	2022	2021
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება	-	697,953
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი	(33,316)	(42,494)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო	(33,316)	655,458

5. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, ნეტო	2022	2021
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი და მომსახურება	38,711	13,591
სხვა ფინანსური შემოსავალი	28,102	89,382
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(13,937)	(2,769)
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	52,877	100,203

6. მოგების გადასახადი ხარჯი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

2022 და 2021 წლებში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი წარმოქმნილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული მოდელის საფუძველზე გაცემული დივიდენდის დაბეგვრით.

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. 2021 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული არ არის მოგების გადასახადის ხარჯი, რადგან აღნიშნულ საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდები არ გაცემულა, ხოლო 2022 წლის მოგების გადასახადის ხარჯი შეადგენს 37,152 ლარს.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ:
ბალანსი 2021 წლის 01 იანვარი	1,400,000	-	-	-	-	17,280,847	18,680,847
შემოსვლა	-	11,184,358	8,592,175	109,959	-	-	19,886,492
გასვლა	-	-	-	-	-	(17,280,847)	(17,280,847)
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	1,400,000	11,184,358	8,592,175	109,959	-	-	21,286,492
შემოსვლა	-	43,594	132,507	23,574	55,890	-	255,565
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	1,400,000	11,227,952	8,724,682	133,533	55,890	-	21,542,057
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 2021 წლის 01 იანვარი	-	-	-	-	-	-	-
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(188,032)	(381,145)	(12,625)	-	-	(581,803)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	(188,032)	(381,145)	(12,625)	-	-	(581,803)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(317,805)	(673,202)	(26,421)	(8,329)	-	(1,025,758)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	(505,837)	(1,054,348)	(39,047)	(8,329)	-	(1,607,560)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2021 წლის 01 იანვარი	1,400,000	-	-	-	-	17,280,847	18,680,847
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	1,400,000	10,996,326	8,211,029	97,334	-	-	20,704,690
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	1,400,000	10,722,115	7,670,334	94,487	47,561	-	19,934,497

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულმა დანახარჯებმა, რომელთა კაპიტალიზებაც განხორციელდა ბასს 23-ის შესაბამისად, შეადგინა 2021 წელს 332, 710 ლარი, ხოლო 2020 წელს 543, 371 ლარი, სულ 876, 082 ლარი. 2022 წელს არ გაწეულა ისეთი დანახარჯები, რომლებიც კაპიტალიზდებოდა ბასს 23-ის შესაბამისად. შეზღუდვა: კომპანიის ქონებაზე (ქარხანა და სათაო ოფისი) წარმოშობილია იპოთეკის უფლება. იპოთეკარი: სს თიბისი ბანკი (204854595). იპოთეკის საგანი: დაზუსტებული ფართობი 5832 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები N1,N2,N3,N4,N5,N6,N7 და N8 საერთო ფართობი - 3102.55 კვ.მ. მისამართი: ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, ლილო, ლოჭინის ხევი (ნაკვ.05/001). კომპანიის ქონებაზე იპოთეკის უფლება წარმოშობილია სს „თიბისი ბანკისგან“ აღებული სესხის უზრუნველყოფის ფარგლებში.

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივებს წარმოადგენს შეძენილი აღრიცხვის ERP სისტემა „Navision“ და ნამუშევარი საათების აღრიცხვის პროგრამა, რომლებიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში.

ისტორიული ღირებულება	
ბალანსი 2021 წლის 1 იანვარი	6,267
შემოსვლა	78,205
გასვლა	-
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	84,472
შემოსვლა	23,038
გასვლა	-
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	107,510
დაგროვილი ცვეთა	
ბალანსი 2021 წლის 1 იანვარი	-
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(4,405)
გასული აქტივების ცვეთა	-
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	(4,405)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(9,686)
გასული აქტივების ცვეთა	-
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	(14,091)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
ბალანსი 2021 წლის 1 იანვარი	6,267
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	80,067
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	93,419

9. საგადასახადო აქტივები და ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე როგორც 199,295 და 174,082 საგადასახადო ვალდებულება, შესაბამისად.

10. მარაგები

მარაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
მზა პროდუქცია	73,259	9,013
ნედლეული და მასალები	409,015	162,343
საოფისე მარაგები	32,736	16,437
საწარმოო აღჭურვილობის მარაგები	1,300,579	909,023
სხვა მარაგები	51,386	8,523
სულ:	1,866,975	1,105,338

მარაგები მოიცავს გასაყიდად გამზადებულ პროდუქციას, დასაფასოებელ და მცირედ გადსამუშავებელ ნედლეულს, წარმოებისთვის განკუთვნილ ნედლეულსა და მასალებს, დაბრუნებულ საქონელს. ამავე ანგარიშშია გაერთიანებული საწვავის მარაგიც. მარაგების ყველაზე მატერიალურ ნაწილს წარმოადგენს საწარმოო აღჭურვილობის მარაგები/სათარაღიგო ნაწილები.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები რეალიზაციიდან	849,863	517,075
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	6,439	48,869
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	698	-
სულ:	857,000	565,945

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული	5,676	9,214
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	237,291	523,319
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	1,186,652	983
სულ:	1,429,619	533,516

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ვალდებულებები რეზიდენტი კომპანიების მიმართ	517,119	504,331
ვალდებულებები არარეზიდენტი კომპანიების მიმართ	254,695	126,095
გადასახდელი ხელფასები და ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	56,579	26,410
სულ:	828,393	656,836

14. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი</u>			
მსესხებლის დასახელება	ვალუტა	31.12.2022	31.12.2021
სს თიბისი ბანკი	ევრო	-	-
სს თიბისი ბანკი	ლარი	5,820,317	4,295,661
სულ:		5,820,317	4,295,661

<u>მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი</u>			
მსესხებლის დასახელება	ვალუტა	31.12.2022	31.12.2021
სს თიბისი ბანკი	ევრო	-	-
სს თიბისი ბანკი	ლარი	19,723,047	22,660,359
სულ:		19,723,047	22,660,359

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2022 წელი) კომპანიის სასესხო ვალდებულები სრულად წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში. ჯამური სასესხო ვალდებულება შედგება სს „თიბისი ბანკისგან“ აღებული რამოდენიმე სესხისგან. აღნიშნულ საბანკო სესხებზე წლიური საბაზისო განაკვეთი შეადგენს 3.5%-დან და 4.5%-მდე, რომელსაც ემატება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი. კომპანია სს „თიბისი ბანკისგან“ 5 (ხუთი) მილიონიანი

სესხი აღებული აქვს შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებებისათვის, კომპონენტის ქვეკომპონენტი, სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისთვის პროექტის ფარგლებში. სესხების დაფარვის ბოლო ვადა არის 2028 წელი.

ძირითად სასესხო ხელშეკრულებას გააჩნია ფინანსური შეზღუდვები (კოვენანტები), რომლებსაც კომპანია აკმაყოფილებს.

15. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტი რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	857,000	565,945
საგადასახადო აქტივები	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,429,619	533,516
სულ ფინანსური აქტივები:	2,286,620	1,099,460
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	25,543,364	26,956,020
საგადასახადო ვალდებულებები	199,295	174,082
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	832,184	661,138
სულ ფინანსური ვალდებულებები	26,574,843	27,791,240

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის

კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც დეტალურად აღწერილია მე-2 განმარტებით შენიშვნაში, საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისთვის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება ინდივიდუალური და კოლექტიური კატეგორიების მიხედვით. კოლექტიური შეფასების კატეგორიისთვის შეიქმნა ხუთი ცალკეული რისკის კალათა:

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	კატეგორია	აღწერა
0-30	AA	ძალიან კარგი
31-60	A	კარგი
61-90	B	ნორმალური
91-180	C	ცუდი
181+	D	ვალდებულების შეუსრულებლობა

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კატეგორია	31.12.2022	31.12.2021
AA	698,069	517,075
A	128,437	-
B	9,825	-
C	3,266	-
D	10,267	-

საპროცენტი რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხები. სესხების წლიური საპროცენტო საბაზისო განაკვეთი შეადგენს 3.5%-დან და 4.5%-მდე, რომელსაც ემატება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი. შესაბამისად, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება (შემცირება ან გაზრდა) აისახება კომპანიის საპროცენტო ხარჯზე. სესხების დაფარვის ბოლო ვადა არის 2028 წელი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. კომპანიამ 2021 წლის მაისის და ივნისის თვეებში, ყველა არსებული სესხი გადაიტანა ეროვნულ ვალუტაში, რითაც მინიმუმადე დაიყვანა სავალუტო რისკი.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო	დოლარი	31.12.2022
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	242,958	-	1,186,661	1,429,619
მოთხოვნები რეალიზაციიდან	311,106	-	545,895	857,000
სულ ფინანსური აქტივები	554,064	-	1,732,556	2,286,620
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	577,489		254,695	832,184
საგადასახადო ვალდებულებები	199,255	-	-	199,255
ქმდებული სესხები	25,543,364	-	-	25,543,364
სულ ფინანსური ვალდებულებები	26,320,147	-	254,695	26,574,843
წმინდა სავალუტო პოზიცია	(25,766,083)	-	1,477,860	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო	დოლარი	31.12.2021
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	532,519	34	963	533,516
მოთხოვნები რეალიზაციიდან	517,075	-	-	517,075
სულ ფინანსური აქტივები	1,049,594	34	963	1,050,591
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	535,043	101,628	24,468	661,138
საგადასახადო ვალდებულებები	174,082	-	-	174,082
მიღებული სესხები	26,956,020	-	-	26,956,020
სულ ფინანსური ვალდებულებები	27,665,144	101,628	24,468	27,791,240
წმინდა სავალუტო პოზიცია	(26,615,550)	(101,594)	(23,505)	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

31.12.2022	ლარი/დოლარი 25%	ლარი/დოლარი -25%	ლარი/ევრო 25%	ლარი/ევრო -25%
მოგება/ზარალი	369,465	(369,465)	-	-

2021 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

31.12.2021	ლარი/დოლარი 25%	ლარი/დოლარი -25%	ლარი/ევრო 25%	ლარი/ევრო -25%
მოგება/ზარალი	(5,876)	5,876	(25,399)	25,399

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ლიკვიდურობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ერთ წლამდე	1-5 წლამდე	სულ:
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,031,479	-	1,031,479
მიღებული სესხები	5,820,317	19,723,047	25,543,364
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,851,795	19,723,047	26,574,843

ლიკვიდურობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ერთ წლამდე	1-5 წლამდე	სულ:
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	835,220	-	835,220
მიღებული სესხები	4,295,661	22,660,359	26,956,020
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,130,880	22,660,359	27,791,240

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავედროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის თებერვლის თვეში დაიწყო ომი რუსეთის რესპუბლიკასა და უკრაინის რესპუბლიკას შორის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ჩვენს რეგიონში არსებულ ბიზნესს გარემოზე. აღნიშნულმა გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა და მენეჯმენტის ეფექტურმა გადაწყვეტილებებმა დააჩქარა აზერბაიჯანში პროდუქციის ექსპორტის პროცესის დაწყება 2022 წლის თებერვლის თვიდან, ნაცვლად 2022 წლის სექტემბრისა. ვალუტის კურსის მკვეთრი უარყოფითი/დადებითი ცვლილებები საქმიანობის დაგეგმვას და მომავლის პროგნოზირებას კიდევ უფრო ართულებს. თუმცა, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ეფექტურად მართავს კომპანიის საქმიანობას.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2022 და 2021 წლების განმავლობაში კომპანიას უფიქსირდება დაკავშირებულ მხარეებთან მცირე მოცულობის ოპერაციები, თუმცა ოპერაციები განხორციელებულია საბაზრო ფასებით.

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დაკავშირებული მხარე შპს „თ და კ რესტორნები“	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	53,711	828,393
	დაკავშირებული მხარე შპს „თ და კ რესტორნები“	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,005	857,000

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დაკავშირებული მხარე შპს „თ და კ რესტორნები“	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,662	656,836
მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2022	2021
დირექტორი	98,625	75,000

18. საქმიანობის უწყვეტობის შეფასება

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი განისაზღვრება რამდენიმე ძირითადი ფაქტორით:

- კომპანიის მფლობელები მზად არის საჭიროები შემთხვევაში გაზარდოს საწესდებო კაპიტალი;
- კომპანიის სტრატეგია არის მომავალზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტების შეთავაზებაში;
- კომპანია არის სტარტაპი და საქართველოს ბაზარზე თავის დამკვიდრების, გარდა ცდილობს რეგიონში არსებული ბაზრის წილის დაკავებას, რაც გამოიხატულია აზერბაიჯანის რეკუბლიკის „Macdonald’s“-თან გამფორმებული კონტრაქტით. 2022

წლის თებერვლის თვიდან კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია გადის ექსპორტზე აზერბაიჯანში.

. კომპანიას აქვს შემუშავებული სამომავლო გეგმები, რომლებიც ორიენტირებულია პროდუქციის ხარისხის და ასორტიმენტის გაზრდაზე.

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ სიძნელეების მიუხედავად, საოპერაციო დონეებზე მკვეთრი ცვლილებების გარეშე განაგრძობენ საოპერაციო მოქმედებებს მომავალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, კომპანია არ აწარმოებდა სასამართლო დავებს.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ სრული საგადასახადო შემოწმების ჩატარება ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადის გათვალისწინებით.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ გამოშვებულია და დამოწმებულია 2023 წლის 27 ივნისს.

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ინტერნეშენალ ბეიკერ ჰაუს“



თბილისი

2023

სარჩევი

<u>1. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ</u>	37
<u>1.1 ჩვენი გუნდი.....</u>	37
<u>1.2 მაკროეკონომიკური გარემოს მნიშვნელოვანი ნიშანთვისებები.....</u>	38
<u>2. კომპანიის განვითარების გეგმები.....</u>	38
<u>3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები:.....</u>	39
<u>3.1 ფინანსური მაჩვენებლები.....</u>	39
<u>3.2 არაფინანსური მაჩვენებლები</u>	40
<u>4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....</u>	41

ინთერნეშნალ ბეიკერ ჰაუს

შპს „ინთერნეშნალ ბეიკერ ჰაუს“ (შემდგომში „კომპანია“) ყოველწიურად ბურგერის ფუნთუშებით ამარაგებს შპს „თ და კ რესტორნებს“(მაკდონალდს საქართველოს) და მაკდონალდს აზერბაიჯანს. ჯამში კომპანია საქართველოსა და აზერბაიჯანში 40-ზე მეტ რესტორანს ამარაგებს პროდუქციით. 2022 წლის ივნისი-დეკემბრის პერიოდში, კომპანია პროდუქციის ექსპორტს ახორციელებდა ბელარუსსა და ყაზახეთში. 2021 წლიდან პროდუქცია ასევე წარმოდგენილია საცალო ვაჭრობის ისეთ მსხვილ ჰიპერმარკეტებში როგორებიცაა: აგროპაზი, კარფური, ნიკორა, ფრესკო და ა.შ.

იმისათვის, რომ კომპანია გამხდარიყო მაკდონალდსის ოფიციალური პარტნიორი და მიმწოდებელი, კომპანიაში დაინერგა არაერთი თანამედროვე სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტების კიდევ უფრო დასახვეწად, კომპანია ყოველწიურად გადის ე.წ. SQMS (Supplier Quality Management System) აუდიტს. 2021 წელს კომპანია აღნიშნულ აუდიტში 85% იანი შეფასება მიიღო (B კატეგორია), ხოლო 2022 წელს 96% (A კატეგორია). გარდა ამისა, კომპანიაში ყოველწიურად ტარდება SWA (Supplier Workplace Accountability) აუდიტი, რომლის მიზანია სამუშაო ადგილზე სამართლიანი და ეთიკური სტანდარტების უზრუნველყოფა. კომპანიას ამ მაჩვენებლებშიც უმაღლესი შეფასებები აქვს. 2021 წლის ივნისიდან როცა კომპანიამ დაიწყო ფუნთუშების წარმოება, პროდუქცია პერიოდულ შეფასებას გადის მიუნხენში, ევროპის ხარისხის ცენტრში. 2021 წლიდან დღემდე არაერთი ნიმუში გაიგზავნა მიუნხენში და არაერთხელ იქნა აღიარებული პროდუქციის მაღალი ხარისხი.

ამჟამად კომპანიაში დასაქმებულია 60-ზე მეტი თანამშრომელი, რომელთა რიცხვი წლიდან წლამდე გაიზრდება.

დღესდღეობით კომპანია რეგიონში პურ-ფუნთუშეულის წარმოებაში მაღალი ხარისხის ეტალონია.

გენერალური დირექტორი



თენგიზ კაკაბაძე

ინთერნეშენალ ბეიკერ ჰაუს

შპს „ინთერნეშენალ ბეიკერ ჰაუს“ (შემდგომში „კომპანია“) ყოველწიურად ბურგერის ფუნთუშებით ამარაგებს შპს „თ და კ რესტორნებს“(მაკდონალდს საქართველოს) და მაკდონალდს აზერბაიჯანს. ჯამში კომპანია საქართველოსა და აზერბაიჯანში 40-ზე მეტ რესტორანს ამარაგებს პროდუქციით. 2022 წლის ივნისი-დეკემბრის პერიოდში, კომპანია პროდუქციის ექსპორტს ახორციელებდა ბელარუსსა და ყაზახეთში. 2021 წლიდან პროდუქცია ასევე წარმოდგენილია საცალო ვაჭრობის ისეთ მსხვილ ჰიპერმარკეტებში როგორებიცაა: აგროჰაბი, კარფური, ნიკორა, ფრესკო და ა.შ.

იმისათვის, რომ კომპანია გამხდარიყო მაკდონალდსის ოფიციალური პარტნიორი და მიმწოდებელი, კომპანიაში დაინერგა არაერთი თანამედროვე სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტების კიდევ უფრო დასახვეწად, კომპანია ყოველწიურად გადის ე.წ. SQMS (Supplier Quality Management System) აუდიტს. 2021 წელს კომპანია აღნიშნულ აუდიტში 85% იანი შეფასება მიიღო (B კატეგორია), ხოლო 2022 წელს 96% (A კატეგორია). გარდა ამისა, კომპანიაში ყოველწიურად ტარდება SWA (Supplier Workplace Accountability) აუდიტი, რომლის მიზანია სამუშაო ადგილზე სამართლიანი და ეთიკური სტანდარტების უზრუნველყოფა. კომპანიას ამ მაჩვენებლებშიც უმაღლესი შეფასებები აქვს. 2021 წლის ივნისიდან როცა კომპანიამ დაიწყო ფუნთუშების წარმოება, პროდუქცია პერიოდულ შეფასებას გადის მიუნხენში, ევროპის ხარისხის ცენტრში. 2021 წლიდან დღემდე არაერთი ნიმუში გაიგზავნა მიუნხენში და არაერთხელ იქნა აღიარებული პრუდიქციის მაღალი ხარისხი.

ამჟამად კომპანიაში დასაქმებულია 60-ზე მეტი თანამშრომელი, რომელთა რიცხვი წლიდან წლამდე გაიზრდება.

დღესდღეობით კომპანია რეგიონში პურ-ფუნთუშეულის წარმოებაში მაღალი ხარისხის ეტალონია.

გენერალური დირექტორი

თენგიზ კაპანაძე

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ

შპს „ინთერნეშენალ ბეიკერ ჰაუს“ დაარსდა 2018 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია აღჭურვილია უმაღლესი ხარისხის თანამედროვე დანადგარებით (AMF, MIWE, AD Controls Scientific, B&B).

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ლილო, ლოჭინის ხევი (ნაკვ.05/001). აღნიშნულ მისამართზე არის განთავსებული კომპანიის სათაო ოფისი და ქარხანა.

საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ბურგერის ფუნთუშის წარმოება და რეალიზაცია. სამოქმედო ბაზარი მოიცავს რეგიონის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) მასშტაბით მომხმარებლების მოზიდვას, მათთვის ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზებით.

1.1 ჩვენი გუნდი

კომპანიის შიდა სტრუქტურა ოპტიმიზირებულია და მაქსიმალურად არის მორგებული კომპანიის შიდა პროცესებზე.

კომპანიის შიდა მმართველობითი სტრუქტურა შედგება შემდეგი დეპარტამენტებისაგან:

· წარმოების;
· ლოგისტიკური;
· ტექნიკური;
· ხარისხის;
· კადრების;
· ფინანსური;

დეპარტამენტები ექვემდებარებიან, კომპანიის გენერალურ დირექტორსა და კომპანიის პრეზიდენტს.

1.2 მაკროეკონომიკური გარემოს მნიშვნელოვანი ნიშანთვისებები

მაკროეკონომიკურად 2022 წელი რეგიონისთვის ძალიან რთული იყო. რეგიონი ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის შედეგებს ებრძოდა, როცა რუსეთ უკრაინის ომი დაიწყო. აღნიშნულმა გამოიწვია მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები და საქონელზე ფასები მკვეთრად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკამ ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა. 2022 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (დოლარში) 2021-თან შედარებით 32%-ით გაიზარდა (18.6-დან 24.6-მდე მლრდ. აშშ დოლარი), ხოლო ინფლაცია 2022-ის დეკემბრისთვის 2021-თან შედარებით 29%-ით შემცირდა (13.9% დან 9,8%-მდე). 2022 წელს სამომხმარებლო სექტორის (FMCG, გარეთ კვება, ფარმაცია, საწვავი, ტანსაცმელი, სამშენებლო მასალები, ავეჯი, ელექტრონიკა) ბრუნვა 34%-ით გაიზარდა, რაც ინფლაციამ, მიგრაციამ, გაზრდილმა მობილობამ, გაუმჯობესებულმა ტურისტულმა და ეკონომიკურმა აქტივობებმა განაპირობა.

მიწოდების ჯაჭვში შექმნილი სტრუქტურული ცვლილებებისა და გლობალური კრიზისით გამოწვეული ინფლაციური მოვლენების სინერგიული ეფექტი იმპორტზე დამოკიდებული კომპანიისთვის თვითღირებულების ზრდის გარდაუვალ წინაპირობებს ქმნის. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის პროდუქციის 90% იმპორტირებულია, რეგიონში მიმდინარე პროცესებით გამოწვეულმა მიწოდების ჯაჭვის შეფერხებებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ტრანსპორტირების ფასებზე და დამატებით წნეხად დააწვა პროდუქციის თვითღირებულებას.

2. კომპანიის განვითარების გეგმები

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია თავდაპირველად დაარსდა მაკდონალდსის ბიზნესისთვის, გასულ პერიოდში კომპანია ძირითადად ორიენტირებული იყო მაკდონალდსის პროდუქციის განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, კომპანიამ საცალო ვაჭრობის ბაზარიც აითვისა და ამ დროისთვის კომპანიის პროდუქცია წამორდგენილია საქართველოს წამყვან ჰიპერმაკეტებში. კომპანიის სტრატეგიული განვითარების გეგმა, მაქსიმალურად აითვისოს რეგიონის საბაზრო არეალი. სამომავლოდ კომპანია მნიშვნელოვან გაფართოებას გეგმავს საცალო ვაჭრობის მიმართულებით. გაფართოება მოიაზრება არა მხოლოდ ახალი სავაჭრო ქსელების ათვისებაში, არამედ პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებაშიც.

კომპანია შიდა კონტროლისთვის და აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დაცვის მიზნით, იყენებს ERP პროგრამას, კერძოდ Microsoft


Navision Dynamic-ს, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიაში მიმდინარე ყველა პროცესის ავტომატიზაციას და ეფექტურ კონტროლს.

კომპანიის განვითარების გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ტექნოლოგიური განვითარება, რომელიც გულისხმობს, ახალი მანქანა-დანადგარების შეძენას რაც კომპანიას პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდაში დაეხმარება.

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები:

3.1 ფინანსური მაჩვენებლები

2022 წელს „ინთერნეტნალ ბეიკერ ჰაუსის“ შემოსავალმა 15,571,508 ლარი შეადგინა და გასულ პერიოდთან შედარებით 273 % ით გაიზარდა.



სავალუტო რისკი:

კომპანიამ 2021 წლის მაისის და ივნისის თვეებში, ყველა არსებული სესხი გადაიტანა ეროვნულ ვალუტაში, რითაც მინიმუმადე დაიყვანა სავალუტო რისკი.

ფინანსური კოეფიციენტები:

2022 წელს მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა EBITDA-ს მაჩვენებელი, კერძოდ 2021 წელთან შედარებით, კომპანიის EBITDA თითქმის 4 ჯერ გაიზარდა და 7,006,413 მილიონი ლარი შეადგინა.

ლიკვიდობის ანალიზი 2022 და 2021 წლების მიხედვით:
ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	857,000	565,945
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,429,619	533,516
	2,286,620	1,099,460
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	25,543,364	26,956,020
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,031,479	835,220
	26,574,873	27,791,249
	(24,288,223)	(26,691,779)

3.2 არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიისთვის პროდუქციის ხარისხი ძალიან მნიშვნელოვანია. პურ-ფუნთუშეულის ხარისხი მეტწილად დამოკიდებულია ნედლეულის ხარისხზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია იყენებს უმაღლესი ხარისხის ნედლეულს მხოლოდ სერტიფიცირებული მომწოდებლებისგან. გარდა ამისა, კომპანია ნედლეულს პერიოდულად აგზავნის გარე ლაბორატორიაში, მიკრობიოლოგ, ქიმიურ და ფიზიკურ შემოწმებაზე. მზა პროდუქციის ხარისხის მუდმივი კონტროლისთვის კომპანიაში ასევე მოწყობილია თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც პროდუქციის ხარისხი ყოველდღიურად მოწმდება. კომპანიის ავტომატიზირებული საწარმოო ხაზი, მთლიანად აღჭურვილია უახლესი მანქანა-დანადგარებით, რაც მაღალი ხარისხის კიდევ ერთი გარანტიაა.



საწარმოს ხაზი მოწყობილია იტალიური, გერმანული და ამერიკული თანამედროვე დანადგარებით.



4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ძირითად რისკფაქტორებს წარმოადგენს რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური რყევები და არასტაბილური ეკონომიკური გარემო. აღნიშნული რისკფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაცვლითი კურსის ფორმირებასა და ქვეყანაში არსებულ ინფლაციაზე. გაცვლით კურსის მერყეობა და ინფლაცია მნიშვნელოვანად ცვლის იმპორტირებული ნედლეულ ფასს და ტრანსპორტირების ღირებულებას. არასტაბილური ეკონომიკური გარემო ასევე მოქმედებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ რეფინანსირების განაკვეთზე, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს საბანკო პროდუქტების ფასებზე, შესაბამისად კომპანიის გრძელვადიანი ინვესტირებისთვის ბანკისგან მოზიდული სახსრები დიდ დახარჯებს უკავშირდება რაც იწვევს ინვესტირების ტემპის შენელებას.

არარეზიდენტ მომწოდებლებთან ანგარიშწორება, უცხოურ ვალუტაშია. შესაბამისად პროდუქციის თვითღირებულება უშუალოდ დაკავშირებულია გაცვლით კურსთან. ასევე კაპიტალური დანახარჯების კუთხით, მანქანა დანადგარების და სხვადასხვა ძირითადი საშუალებების შესყიდვა ხდება ვალუტაში, შესაბამისად ცვალებადი გაცვლითი კურსის პირობებში ბიუჯეტთან მიმართებაში აცდენას აქვს ადგილი და წარმოიქმნება გაუთვალისწინებელი გარემოებები.